



იმისთანა წმინდა საძმოში, ბოგბოღი ბუქ-
უბი სიფყვას, ფუცილებით და ჭებებით ბუბ-
თის გაფანა ყუელა უჯანსიბთაჲ უსამაგოესია.

გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

სამშაბათი-ოთხშაბათი, 4-5 აგვისტო. 2020 წ. №96 (9022)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge


ფასი 60 თეთრი



**ღია
წერილი
ბიძინა
ივანიშვილს**

მინდა, ისოღათ, ამ „სიკულვილში“ რაოდენი სიყვარულია!

აფხაზეთი - ეპიდ- კატასტროფის ზღვარზე ტურიზმი, როგორც იარაღი მეხუთე კოლონის ხელში



**სააკაშვილი ისევ ტყეპალზე
ზის და დაბლიდან
მიტყეპილ-მოტყეპილი
ბპარაშია ასცქერის...**

სიბღერები ნაცებისათვის

**დოკუმენტური
ფილმი
„ცხინვალის
1920“**



**რა მოხდა
საუკუნის
წინათ
ცხინვალის
რეგიონში?!**

გარდაცვლილ თამარ ბაჩალიაშვილის მემორიალი საპატრიარქოში იმყოფებოდნენ

საპატრიარქოში გარდაცვლილ თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის წევრები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრეს, სენაკისა და ჩხორონწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) შეხვდნენ. როგორც გარდაცვლილის დედამ თონა თამაზაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საპატრიარქოში გარემოების ასახსნელად და შვილისთვის წესის აგების ნებართვისთვის იმყოფებოდნენ. მისივე ინფორმაციით, ილია მეორის კურთხევით, ოჯახს წესის აგების უფლება მიეცა. „პატრიარქმა მოგვცა კურთხევა წესის აგებაზე და იქვე გადაუხადეს პანაშვიდი. იკითხონ იმათ, იმ მკვლევებმა, იმათ რა ელით, თორემ ჩემი თამუნას სული მშვიდად იქნება. წესიც აეგება და ყველაფერი, რაც საჭირო იქნება, ისე გაკეთდება. საპატრიარქოში მოვუყვებით ყველაფერი, როგორც იყო. ისინი მიხვდნენ, რომ ეს არ იყო თვითმკვლელობა და ამ ვერსიას ვეღარც კი მოიაზრებენ საერთოდ. პატრიარქი შეუძლოდ იყო და სხვა დროს დაგვიბარეს პატრიარქთან შესახვედრად. პანაშვიდი იქვე გადაუხადეს და კიდევ გადავიხდით, როცა მოზრძანდებითო, შეგატყობინებთ“, - განაცხადა ბაჩალიაშვილის დედამ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯალაღიძე და კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი. ანდრია ჯალაღიძის განცხადებით, როდესაც დადასტურებული არ არის თვითმკვლელობის ფაქტი, მაშინ „ეკლესია იღებს თავისი კაცთმოყვარეობიდან გამომდინარე ყველაზე უფრო სანუგეშო გადაწყვეტილებას გარდაცვლილის სულისთვის და მისი ოჯახისათვის“.



„საბურთალო“ ბიორგი შაქარაშვილის სახელობის სტადიონი გახსნა

„ბუნდის“ გადაწყვეტილებით, რომ ამიერიდან „საბურთალოში“ 21-ნომრიანი მაისური სამუდამოდ გიორგი შაქარაშვილს მიეკუთვნება და მისი მაისური საკლუბო მუზეუმში შეინახება, - ეს „საბურთალოს“ პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა იოსებობის ქუჩაზე გიორგი შაქარაშვილის სახელობის სტადიონის გახსნაზე განაცხადა. გიორგი შაქარაშვილის სახელობის სტადიონი ოფიციალურად გუშინ გაიხსნა - გარდაცვლილი ფეხბურთელის სახელი იოსებობის ქუჩაზე მდებარე „საბურთალოს“ საფეხბურთო აკადემიის ერთ-ერთ სტადიონს მიანიჭეს. გახსნას „საბურთალოს“ ხელმძღვანელები, გიორგი შაქარაშვილის ოჯახის წევრები, მეგობრები და თანაგუნდელები ესწრებოდნენ. გიორგი შაქარაშვილი „საბურთალოს“ დუბლშემადგენლობის მოთამაშე იყო და მასზე გუნდის ხელმძღვანელობა და სამწვრთნელო შტაბი დიდ იმედებს ამყარებდა. „საბურთალოს“ პრეზიდენტის თქმით, გარდაცვლილი ფეხბურთელის სსოვნას პატივს მსოლოდ ამით არ მიაგებენ. „ჩვენ ასევე ვაპირებთ, გიორგის სახელობის საერთაშორისო ტურნირი რეგულარულად ჩავატაროთ, სადაც ბევრ ნიჭიერ მოთამაშეს ექნება თავის წარმოჩენის საშუალება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია - ამიერიდან 21-ნომრიანი მაისური წარწერით „შაქარა“ (რომლითაც გიორგი „საბურთალოში“ თამაშობდა) საკლუბო მუზეუმში გამოეფინება და ყველას ეცოდინება, რომ „საბურთალოში“ ეს ნომერი მას ეკუთვნის, ჩვენთან ერთად თამაშობს და ჩვენთან ერთად გაიმარჯვებს. წელს ნომრის ამოღება შეუძლებელია, რადგან რეგულაციებით ნომრის შეცვლა არ შეიძლება. მომავალი წლიდან კი „საბურთალოს“ მთავარ და ყველა ასაკობრივ გუნდში ამ ნომრით აღარავინ ითამაშებს“.



რაჭაში, შიდა სოფელში, სასაბურთალოს მუნიციპალიტეტის მოქმედი პროექტი

რაჭაში, სტიქიის ზონაში, მე-ექვსე დღეა, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სალიკვიდაციო-აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. საქართველოს საავტომობილო

ლო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ონის მუნიციპალიტეტში მდინარის კალაპოტში დასაბრუნებლად სამუშაოები მიმდინარეობს, ასევე საავტომობილო მოძრაობისთვის



სულო-თაგოს საბაგირო გზა მუშაობა განაახლა

როგორც სულოს მუნიციპალიტეტის მერიამ განმარტავენ, გასული წლის დეკემბერში, მორიგი გემიური შემონეშების დროს საბაგირო გზის რამდენიმე ადგილას წყვეტა დაუდასტურდა, რის გამოც მიმდინარე წლის იანვრიდან ბაგირგზამ უსაფრთხოების მიზნით მუშაობა შეაჩერა. სულოს მერიის დაკვეთით, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „ბაგირგზები“ მთლიანად შეცვალა 3 400 მეტრი სიგრძის ბაგირი და შეასრულა თანხლები სამუშაოები. პროექტის განხორციელებისათვის 124 723 ლარი დაიხარჯა.

სულო-თაგოს საბაგირო გზა სიგრძითა და სიმაღლით ევროპაში მეორე ადგილზეა. უსაფრთხოდ საბაგირო გზის სიგრძე 1720, ხოლო სიმაღლე 280 მეტრია. საზოგადოებრივ ტრანსპორტს მხოლოდ ტურისტული დანიშნულება არ გააჩნია, ის სულოს ცენტრიდან სოფელ თაგოში მისასვლელად გზის შემოკლების ერთადერთი საშუალებაა. საბაგიროს მუშაობით დაბა სულოსთან დაკავშირება მწუხარად შესაძლებელი. სულო-თაგოს დამაკავშირებელი საბაგირო პირველად 1985 წელს გაიხსნა.

ვაჟაქე - შე ბნელი!



306 უფრო ნათელ მხარეს დგას – ვაჟაქე თუ სააკაშვილი, ამის შეფასება საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს არ გაუჭირდება, რადგან პოლიტიკური სივრცე დღეს გახსნილია. ალბათ, მიხეილ სააკაშვილს სწორედ ეს აღიზიანებს, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ, ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას განაცხადა.

„ავარაბა, რომ მიხეილ სააკაშვილს კვლავ აქვს განცდა, რომ ის არის პოლიტიკური მონოპოლისტი. რეალურად, მისი მონოპოლია 2012 წელს დაიშალა და მისი პოლიტიკური კამპანია არის პოლიტიკური კრახის წინაშე. საპარლამენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ საზოგადოებას საქართველოში ახალი პოლიტიკური კლასი და პასუხისმგებელი პოლიტიკური პარტიები სურს, ისეთი, როგორც არის „ქართული ოცნება“. ჩვენი მიზანია, რომ უფრო მონაწილეობით პარლამენტი გვექონდეს, ასევე უფრო დაბალანსებული და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა გვექონდეს. შემოიღოს ის ნაბიჯები გითხრათ, რომელიც სააკაშვილისგან განსხვავებით, როცა ის იყო ხელისუფლებაში, ჩვენ გადავდგით. შევცვალებთ პარტიების დაფინანსების სისტემას, მედიასაშუალებებს შეზღუდვები მოვუხსენით, რომელთა რაოდენობა ოთხიდან ოცამდე გაიზარდა ერთიანი მანუშელობის თვალსაზრისით. ასევე, შევცვალებთ საქართველოს კონსტიტუციას, შემოვიღებთ არსებითად პროპორციული სისტემა და სრულად პროპორციული სისტემა 2024 წლისთვის. აგრეთვე, შევცვალებთ „საარჩევნო კოდექსს“. ეს არის რეალური ნაბიჯები დემოკრატიის გასაძლიერებლად. რასაც მიხეილ სააკაშვილი აკეთებს, ეს არის უკვე წარსული და გასაკვირი არ არის, რომ ეს ოპოზიციურ პარტიებს შორის სამართლიან გაღიზიანებას იწვევს. რაც შეეხება იმას, ვინ უფრო ნათელ მხარეს დგას – ვაჟაქე თუ სააკაშვილი, ამის შეფასება საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს არ გაუჭირდება, რადგან პოლიტიკური სივრცე დღეს გახსნილია. ალბათ, მიხეილ სააკაშვილს სწორედ ეს აღიზიანებს“, – განაცხადა თალაკვაძემ.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე „ძალა ერთობაშიას“ დატოვების გადაწყვეტილების გამო გააკრიტიკა და განაცხადა, რომ გიორგი ვაშაძე ბნელ მხარეზე გადავიდა.

„პროპულსა საქართველო“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობად ახალი კანდიდატები დაასახელა!

პარტიის „ევროპულმა საქართველომ“ გუშინ რეგიონებში პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების სია წარადგინა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებით, ეს არ არის მაჟორიტარების სრული სია.

საქართველოს რეგიონებში მაჟორიტარების სია ასე განისაზღვრა:
ელენე ხოშტარია – ვაკის მაჟორიტარული ოლქი;
შალვა შავგულიძე – მთაწმინდისა და კრწანისის მაჟორიტარული ოლქი;
გიგი წერეთელი – ტყუბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარული ოლქი;
ტარიელ ნაკაიძე – ხელვაჩაურის ნანოლის, ქედის, შუახევისა და ხულოს მაჟორიტარული ოლქი;
ირმა ნადირაშვილი – რუსთავისა და გარდაბნის ნანოლის მაჟორიტარული ოლქი;
ოთარ კახიძე – ქუთაისის მაჟორიტარული ოლქი;
სერგო რატიანი – საჩხერე, ჭიათურა და ხარაგაულის მაჟორიტარული ოლქი;
ზურაბ ჭიაბერაშვილი – თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარული ოლქი;
გიორგი ლვინიაშვილი – გურჯაანის,

საგარეჯოს, დედოფლისწყაროს და სიღნაღის მაჟორიტარული ოლქი;
სათუნა გოგორიშვილი – ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარული ოლქი;
აპოლონი იმამყულიანი – მარნეულისა და გარდაბნის ნანოლის მაჟორიტარული ოლქი;
არსენ კარაბეტიანი – ახალქალაქისა და ნინოწმინდის მაჟორიტარული ოლქი;
ლელა ქებურია – წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და აბაშის მაჟორიტარული ოლქი;
აკაკი ბობოხიძე – სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის მაჟორიტარული ოლქი;
გიგა ბოკერია – ფოთი, ხობი, სენაკი;
გიგი უგულავა – ზუგდიდი.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა:
ვახტანგ კალიანი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატი;
თემურ კახიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში: ქედა, შუახევი, ხელვაჩაურის და ხულოს მაჟორიტარობის კანდიდატი.
სამართლებრივი საპარლამენტო არჩევნებში 31 ოქტომბერს ჩატარდება.

დაბადება ნათელი! ბოკერია და ვაშაძე, მაჟორიტარულ დეპუტატობაზე კანდიდატობენ!

„ტაბულას“ რედაქტორს, თამარ ჩერგოლიძეს „ნათელი დაბადება“, „ქალთა პარტიას“ აღარ ქმნის და „ევროპული საქართველოს“ წინასაარჩევნო კამპანიის წარსამართაოდ ქმრის გიგა ბოკერიას სამაჟორიტარო ოლქში მიდის. ამის შესახებ ჩერგოლიძე წერილობით განაცხადს წერს.

იგი ფოთის, ხობისა და სენაკის სამაჟორიტარო ოლქში პარტია „ევროპული საქართველოს“ ეგვიდით ახალგაზრდულ მიმართულებას წინააღმდეგობას. მისივე თქმით, სამი თვით ტოვებს რედაქტორის თანამდებობას და დროებით საცხოვრებლად სამეგრელოში გადადის, სადაც მისი მეუღლე გიგა ბოკერია მაჟორიტარობისთვის იბრძოდეს.



„მოკლედ, ასეთი ამბავია: დაგვადგა ნათელი! გიგა ბოკერიამ გადაწყვიტა მაჟორიტარად იყაროს კენჭი. ფოთი, ხობი, სენაკი. ვინაიდან ამ დღეს მე დიდხანს ველოდი და პროცესი მაგრად მინტერესებს: 1. ტაბულას სამი თვე ლევან სუთიძე ურედაქტორებს და მე ვდისტანცირდები – სანამ კამპანია. 2. მე გადავად საცხოვრებლად ფოთში და ჩავიბარებ ახალგაზრდების მიმართულებას. 3. ყველას, ვისაც ჩვენ მოგწონვარ, ან უბრალოდ – გაინტერესებთ და ცხოვრობთ ფოთში, ხობში, სენაკში და მის შემოგარენში – შემეხიანეთ. ჯერ მოგიმენთ და მევე ერთად მოვიფიქრობთ, რა ვქნათ!“, – წერს ჩერგოლიძე.

ვანო მერაბიშვილი ახლა ალმოაჩინა ოპოზიციის ოპოზიციის უპირისუპირი უპირისუპირი!

საქართველოს ექსპრეზიდენტი ვანო მერაბიშვილი ახლა ალმოაჩინა ოპოზიციის მხრიდან პოლიტიკური ვაჭრობა, თუმცა, ეს საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა. „განსაკუთრებით ძველ ოპოზიციას გამოვყოფდი, რომელიც არის დესტრუქციული და მას პოზიტიური დღის წესრიგი არ გააჩნია. ეს ვანო მერაბიშვილია ახლა ალმოაჩინა, როგორც ჩანს, მან უკვე ჩაინებდა ძველი ოპოზიციის სამზარეულოში და ის უპრინციპობა ნახა, რაც იქ ხდება. დაწყებული იმით, როცა ქვეყანა პანდემიის ებრძოდა, ძველი ოპოზიციის ებრძოდა ჯანდაცვის სისტემას, გაგრძელებული იმით, როცა ქვეყანა დემოკრატიული ნაბიჯებს დგამდა, კონსტიტუციასა და „საარჩევნო კოდექსს“ ცვლიდა, ძველი ოპოზიციის ამ პროგრესულ ცვლილებებს ებრძოდა. დღეს, როცა ოპოზიციის გარკვეული განაზღვრული პროცესი მიმდინარეობს, ძველი ოპოზიციის ისევე დესტრუქციული ქმედებით დღესაც გამოჩნდება. თქვენ ხედავთ, ბევრი სპეკულაცია მიმდინარეობს. ის ხალხი, ვინც გულზე მჯიდს იცემდა, რომ ნებისმიერ ოლქში „ქართულ ოცნებას“ დაამარცხებდა, ხედავთ, რომ რეგრიგობით უარს ამბობენ მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატობას და არჩევნებში ოლქებში მონაწილეობაზე. შესაძლოა, ეს ყველაფერი ვანო მერაბიშვილმა ახლა ნახა, თუმცა ეს საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია“, – განაცხადა თალაკვაძემ. შს ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარობას არ აპირებს.



ბიძრ დიდ ადამიანს ხალხის სიყვარული სიცოცხლეში არ ღირსება. თქვენ იშვიათი გამოჩენილი იყავით. მეტიც, ხალხმა თქვენი ქველმოქმედების გამო შეგიყვარათ და შანსი მოგცათ, დიდი სახელმწიფო მოღვაწე გამხდარიყავით. ვეჭვობ, რომ ეს შანსი ხელიდან გაუშვით. ადამიანის სიდიდეზე მისი ქმნილებები ღალადდებიან. ნათქვამია, „საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო“.

თქვენ მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა თუ ქველმოქმედებამ პატივისცემითა და სიყვარულით განამაწყობ თქვენ მიმართ.

დიდ საქმეთა ჩამონათვალში ღირსეული ადგილი უკავია შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკს, რის გამოც მე, როგორც საზოგადოების წევრი, გულწრფელად გიხდით მადლობას, მაგრამ ამჯერად თქვენ პოლიტიკოსი, ქვეყნის სათავეში მდგომი პარტიის ლიდერი ხართ და უნდა ვისაუბროთ პოლიტიკოს ივანიშვილის წარმატებებზე და არა – ქველმოქმედი ივანიშვილისა.

როცა ქველმოქმედებების გამო ხალხს უყვარდით, არ ღირდა თქვენი პოლიტიკაში წასვლა. პოლიტიკოსმა ივანიშვილმა ქველმოქმედ ივანიშვილს ხალხის სიყვარული დაუკარგა. ვფიქრობ, საბედისწერო შეცდომა დაუშვით. ნუ გჯერათ იმ პოლიტიკოსებისა, რომელთა ფასი, თქვენ გარეშე, ნულის ტოლია. თქვენი სახელისა და სიყვარულის დაკარგვის ხარჯზე ისინი იქ იმყოფებიან, სადაც ვერასოდეს მოხვდებოდნენ. ხალხის სიყვარულის ნანგრევებზე აღაზრვით ისინი და დაზარალებული მხოლოდ თქვენ დარჩით. გგონიათ, რომ მათ მართავენ? სინამდვილეში მათი მლიქვნელობის ტყვეობაში ხართ. მლიქვნელის ყოველი სიტყვა, მლიქვნელის სარგებელია და არა თქვენი. გადახედეთ, რამდენმა მლიქვნელმა იშოვა ფული თქვენი ავტორიტეტის, ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის ხარჯზე.

პოლიტიკოსმა ივანიშვილმა რატომ დაუკარგა ხალხის სიყვარული ქველმოქმედ ივანიშვილს? ჩვენმა ხალხმა სახელმწიფოც და თავისი ბედიც თქვენ ჩაგაბარეს, მაგრამ თქვენმა ქველმოქმედებამ რა უშველა მათ გაჭირვებას? თქვენი მმართველობის რვა წლის მანძილზე სახელმწიფო ინსტიტუტებმა რღვევა იწყეს, კანონი სამართალთან გაუცხოვდა, დამინაშავე წესიერ კაცს დაუპირისპირდა, კრიმინალური შეგნების ხალხი აღზევდა. ადამიანებში გაჩნდა აზრი, რომ ხელი-სუფლებებში ფული უნდა აკეთო და ეს, მათი აზრით, ნორმალურია. საზოგადოების ღირსეული წევრები მათხოვრებად

მიწა, იცოვით, ან „სიძულვილი“ რაოდენი სიყვარულია!



იქცნენ, ხელებში შემოგვცქერიან, რათა სარჩო მიიღონ თქვენგან. თქვენმა გაღებულიმა ფულმა სასიკადალო მამულიშვილებს – ხელოვანებს, სპორტსმენებს, მეცნიერებს, მწერლებს, მოაზროვნეებს ღირსება დაუკარგა, მაშინ როდესაც, როგორც პოლიტიკოსი, როგორც ხელისუფალი ვალდებული იყავით, თქვენ მიერ მართულ სახელმწიფოს ამ ადამიანებისათვის ღირსეული შრომის საფასური გადაეხადა და თავიანთი შრომით მოპოვებული ფული შეეტანათ სახლში. ნუთუ ღირდა ხელისუფლებაში მოსვლა?! ხელისუფლებისაგან შორს რომ მდგარიყავით, დენდროლოგიურ პარკს ვერ ააშენებდით? ასე ხომ ხალხის იმ სიყვარულსაც შეინარჩუნებდით, რომლის მოპოვებაც არც ისე ადვილია. ჩემი აზრით, ამ რვა წლის მანძილზე თქვენი მიზნები ბიზნესმენის მიზნები იყო და არა – სახელმწიფო მოღვაწის მიზნები. გავიხსენოთ მარისხუანას გაშენებით ხუთასპროცენტისანი მოგების

თქვენ ჩამოაყალიბეთ დავალებების შემსრულებელი ხელისუფლება. დავალებებს როგორი კაციც აძლევს, მთავრობა ისეთ საქმეებს აკეთებს. როცა პროფესიონალი და ჭკვიანი ექიმები აძლევდნენ დავალებებს, მთავრობის ბრძოლა კორონავირუსთან მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული იყო, მაგრამ როცა თქვენ, ან თქვენი გარემოცვა იძლევა მითითებებს, მთავრობა უნიათოა, ეს იმიტომ, რომ თქვენი მიზნები ბიზნესმენის მიზნებია და არა – პოლიტიკოსისა. ჩემი სურვილია, პოლიტიკოსმა ივანიშვილმა არ გაანადგუროს ქველმოქმედი ივანიშვილი, რომელსაც ერის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის და ამ ღვაწლის გამო ერის სიყვარულს იმსახურებს!


ამბობენ, ივანიშვილი პრორუსი პოლიტიკოსიაო... შეუძლებელია, თქვენ პრორუსული პოლიტიკოსი იყოთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პოლიტიკოსი არ ხართ. ხელისუფლებაში ყოფნის რვა წლის მანძილზე რუსეთთან ურთიერთობაში არაფერი შეგიცვლიათ. რუსეთს ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად ნაბიჯი არ გადმოუდგამს და არც ჩვენს ხელისუფლებას ჰქონია თვალშისაცემი მცდელობა რუსეთთან ურთიერთობაში რამეს შეცვლის.

გთხოვთ, ბატონო ბიძინა, დამიჯერეთ, უბედურება ნამდვილად არ იქნება, თუ პოლიტიკიდან წახვალთ! გაიხსენეთ, რამდენი დიდი საზოგადო მოღვაწე გვეყოლია და გვეყავს! ბიზნესის კუთვებით, ინვესტიციებით, ქველმოქმედებით შეგიძლიათ დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის სამუდამო ადგილი დაიმკვიდროთ. შანსი ისევ გაქვთ, დაიბრუნოთ ხალხის სიყვარული და პატივისცემა! საკუთარი თავის გადასარჩენად წახვიდეთ პოლიტიკიდან!

ნუ დაუგდებთ ყურს თქვენს მრჩევლებს, პარტიის წევრებს, თქვენ გარშემო მყოფ უამრავ მლიქვნელს, რომლებიც თქვენს სხეულზე მოკალათებულან და სისხლს გწოვენ! ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ.

სხვადასხვა პარტიამო ბევრ ნიჭიერ პოლიტიკოსს ვერაფერს ვეცდები, მიეცით „ნიჭსა გზა ფართო!“ ყველაფერი გააკეთეთ, რომ ბიზნესმენი, ქველმოქმედი, მამულიშვილი ბიძინა ივანიშვილი გადარჩინოთ! თქვენ სჭირდებათ საქართველოს!

**პატივისცემით
ჯუშუბერი
სარდლიშვილი**



ტურისტული ინფრასტრუქტურის გოგბის მონასტერში

რემონტი განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დასრულების ფაზაშია. უწყების ცნობით, სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს.
„პროექტის ფარგლებში, მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ორდონიანი ავტოსადგომი, შიდა და გარე წყალმომარაგების, წყალარინების, სანიაღვრე და გათბობა-ვენტილაციის სისტემები, ჩატარდა შიდა და გარე განათების, ვერტიკალური გეგმარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. გარდა ამისა, ფონდი ახორციელებს წმინდა ნინოს წყაროსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციას.
ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტერში ტურისტების და მომლოცველების რაოდენობა საგრძნობლად გაზარდილია, რაც თავისთავად, იწვევდა ავტოსტრანსპორტის რაოდენობის ზრდასაც. მონასტერთან არსებული ინფრასტრუქტურა კი ვეღარ აკმაყოფილებდა გაზარდილ მოთხოვნას და იქმნებოდა საცობი. პროექტის დასრულების შემდეგ, მონასტრის მნახველები კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული ტურისტული ინფრასტრუქტურით ისარგებლებენ“, – აღნიშნულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციაში.

ქართული ვაჟაბატაძის მომავლიანი შესაძლებლობები


აბმისა და ვაშლაბატაძის მოსავლის აღება აქტიურ ფაზაშია. 2 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოდან ექსპორტირებულია 16 273 ტონა აბამი და ვაშლაბატა, რაც 6 521 ტონით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.
ქართული აბმისა და ვაშლაბატაძის ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია რუსეთის ფედერაცია (62% – 10 108 ტონა), სომხეთის რესპუბლიკა (33% – 5 323 ტონა) და აზერბაიჯანის რესპუბლიკა (3% – 543 ტონა). ექსპორტი ასევე ხორციელდება ყაზახეთის, მოლდოვას, სლოვენის, უკრაინისა და სინგაპურის რესპუბლიკებში. მოსავლის შეუფერხებლად დაბინავებისა და რეალიზებისთვის სრული დატვირთვით მუშაობს 22 სამაცივრო მეურნეობა. აბმის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით ხორციელდება. პროცესში ჩართული არიან ფიტოსანიტარული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლები.
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად მუშაობს ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციის, ფერმერებისა და აბმის რეალიზატორების დაკავშირების მიმართულებებით.

საბაჟო ინფრასტრუქტურის მართვა-მფლობელის ტაბაზე

წმინდა მართლწინა ტაბაზე საბაჟო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები იწყება. პროექტი, ტერიტორიის კეთილმოწყობასთან ერთად, ინფრასტრუქტურის განვითარებასაც ითვალისწინებს.
პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით და შევიცარიისა და ავსტრიის მთავრობების ხელშეწყობით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის თანდაფინანსებით ხორციელდება.
პროექტი ითვალისწინებს პორტის, საჩრდილობლებების, ვიზიტორთა და მეთევზეთა მომსახურების ცენტრების მოწყობას.
სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯორჯიან სტოუნ“ შეასრულებს. მისი ღირებულება 66 801 ლარია. თანხა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საგრანტო კონკურსში გამარჯვებით იქნა მოპოვებული.



მგალობელი, რეალის სამუბლოს „ტკივილებს კენკავს“



ბადრი ქუთათელაძე 70

არ შემოიძლია, ვიყო შენი კურდღლის მდედარი... მე ჩემი მტრედის სიმსუბუქე ცაში მიმაფრენს... ჯერ კიდევ მელის დასაპყრობად ჩემი მწვერვალი, ჩემი კაცობის, ტკივილი და ჩემი სიმაართლე.

ბადრი ქუთათელაძე

„ბადრი ქუთათელაძე – ეს სახელი და გვარი ათწლეულების განმავლობაში ყოველგვარი ძალდატანებისა და ფორსირების გარეშე იქცა ქართული მწერლობისა და კულტურის ორგანულ ნაწილად, რომლის გარეშეც დღეს უკვე წარმოუდგენელია ქართველი საზოგადოების ინტელექტუალთა გუნდი“, – ასე ახასიათებს შესანიშნავ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ბადრი ქუთათელაძეს მწერალი და პუბლიცისტი ზაალ ბოტიკოველი. დიას, მართლაც წარმოუდგენელია

ქართული კულტურა ბადრის გარეშე, იგი 70 წლისა შესრულდა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამომცემლობა „მნიშვნელოვანი“ პუბლიცისტიკისა და ფოტოხელოვნების, თბილისის საპატრიოტო მოქალაქის დემიკო ლოლაძის თავკაცობით, გამოსცა შესანიშნავი წიგნი – ალბომი „წარმოიშლება მთებიდან თოვლი – ბადრი ქუთათელაძე 70“, რომელშიც პოეტის ცნობილ და პოპულარულ ლექსებთან ერთად შესულია მე-20 საუკუნის გამოჩენილ ქართველ პოეტთა, კულტურის, ხელოვნების და საზოგადო მოღვაწეთა წერილები ბადრი ქუთათელაძის, როგორც დიდი პიროვნებისა და

შემოქმედის შესახებ.

ეს შესანიშნავი ალბომი იხსნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მილოცვით – „ბატონ ბადრი ქუთათელაძეს გულითადად ვულოცავ დაბადების საიუბილეო თარიღს. ღმერთმა დალოცოს და კვლავაც დიდხანს ამსახუროს მოყვასს და სამშობლოს“.

ალბომი უხვად აღუსტირებული საოჯახო ალბომიდან და ცნობილი ფოტოხელოვნების დემიკო ლოლაძის, ბადრი ვადაჭორიას, ალექსანდრე კოტორაშვილისა და გეგა ქუთათელაძის ფოტოებით, რომლებიც სრულად ასახავენ პოეტის ცხოვრების ისტორიასა და შემოქმედებას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულითა და სულით ვულოცავთ უნიჭიერეს პიროვნე-

ბას საიუბილეო თარიღს და აქვე გთავაზობთ ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორის, ცნობილი ლიტერატორისა და მთარგმნელის, ბატონი გურამ გოგიაშვილის მეტად თბილ მისასალმებელ წერილს, რომელიც ამ შესანიშნავ საიუბილეო ალბომს ამშვენებს.

როგორც ღმერთის მოტყუება შეუძლებელი, ასევე ვერ მოატყუებ სიტყვას, რადგან ღმერთი სიტყვაა, ხოლო სიტყვა ღმერთია!

ეს უწინარესად ხელსაწილიან მლოცველს ეხება და სიტყვასთან გამიჯნურებულს, რომელიც ლექსად გარდაქმნილი სიტყვით ელაპარაკება სხვა ადამიანებს, ვისაც ბუნებისგან არ დაჰყოლია იმის დახვეწისა თუ შეგრძნების უნარი, რასაც ნამდვილი პოეტი, პოეზიას ქვაშიც რომ ხედავს, არა მარტო თავის თავს გამოხატავს, არამედ ამ გზით უამრავ ადამიანს ახილავს თავის თავს.

ეს, მგონი, არცთუ საკმაოდ ახრი ჩემი ძველი მეგობრის, ქართული სიტყვის უტყუარი მიჯნურის ბადრი ქუთათელაძის ნაღვნიკეა წიგნმა გამიჩინა. „დრო არ იძლევა უფლებას“, – ასე დაურქმევია პოეტს ამ თავისი ერთგვარი „რჩეულისთვის“. მაინც რის უფლებას არ იძლევა დრო? პირადად მე რაც ამოვიკითხე, დრო უწინარესად იმის უფლებას არ იძლევა, რომ მცირედ, მაგრამ ქვეყნის წინაშე თავისებურად ცოდილი, მცირედ, მაგრამ კაცობანადალატუკი ხელსაწილიანი ლოცვად იდგეს ტაძარში, რომლისკენაც მი-

ამ წიგნიდან მაცხოვრებელი სიო უგერავს



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, გურამ ბოტიკოველი და ბადრი ქუთათელაძე.

მავალ „გასახედნ ბილიკებს ალი ასდით იების...“ და დრო მხოლოდ იმის უფლებას იძლევა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა მთელი სიგრიე-სიგანით გავიხაროთ, რის უფლებასაც დრო არ გვაძლევს, მაგრამ ჩვენ მაინც ვმოუწუნებთ – გულმოდგინედ ვცდილობთ, ნემსის ყუნწში ვკერებით, რომ თუ ვერ მოვატყუებთ, შეცოდებით მაინც შევაცოდოთ თავი ღმერთს, თანაც გულისგულში ნამალავი სიცრუენარევი სიტყვით, რომელიც აგრეთვე ღმერთია...

ამ წიგნს, საიდანაც მაცხოვრებელი სიო უგერავს, იმითაც გამოარჩევს მკითხველი, რომ პოეტი საოცრად სიტყვაძვირი და სიტყვაძუნწია, რომლის სტრიქონებიც ხელჩაქეული კაცის გამოძაცობლებელ აბებს ცვლიან და პოეტთან ერთად ის კაციც არამარტო მზით, არამედ „მოვარის შუქითაც თბება“. და პოეტის სახელისა არ იყოს, ის მოვარეც ბადრია, პოეტის სუხნაა, პოეტის სახელმოდგამია, რომელსაც თავისი თავი არწივად სულაც არ წარმოუდგენია. პირიქით, ერთი სინახოხა ჩიტია, მიწისქვეშა საქართველოში გარდასულ ქვეყნის მოჭინახულე სულთა ეგბური და მგალობელი, რომელიც სამშობლოს „ტკივილებს კენკავს“.

რუსეთის დუმა საქართველოს მიერ 1920 წელს „სამხრეთ ოსეთის გენოციდის“ საკითხის განხილვას აპირებს. ამ ყველაფერს წინ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადება უძღოდა, სადაც მან 1920 წელს სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებს „გენოციდი“ უწოდა. პუტინის ამ სიტყვებით შეგულიანებულმა ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო პარლამენტარებმა რუსეთს მიმართეს და „ქართველი ნაციონალისტების მხრიდან“ 1920 წელს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გენოციდის აღიარება სთხოვეს.

საინტერესოა, არსებობს კი რაიმე სახის ისტორიულ-სამართლებრივი ან დოკუმენტური საფუძველი, რაც მათ ასეთი ხმაბალალი განცხადებების გაკეთების საშუალებას აძლევს?

რა თქმა უნდა, არ არსებობს. 1920 წელს მართლაც მოხდა დაპირისპირება, თუმცა ეს იყო ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული აჯანყება. მარტივად რომ ვთქვათ, ეს იყო ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა, მეორე სახელმწიფოს მოსახლეობის ნაწილის აჯანყება, დაფინანსება და იარაღის მიწოდება, ანუ აჯანყება, რომელიც 1920 წელს მოხდა, მეზობელ რუსეთსა და ოსებს სურთ გენოციდად გამოაცხადონ. ამ შემთხვევაში, ჩვენი, ქართული მხარის ყველაზე მძლავრი იარაღი ისტორიული მასალებია, რომლებიც ჩვენს არქივებში ინახება. სწორედ ამიტომ საარქივო მასალების ერთად თავმოყ-



რა მოხდა საუკუნის წინათ ცხინვალის რეგიონში?!

დოკუმენტური ფილმი „ცხინვალის 1920“

რისა და ისტორიული სიზუსტეების მეტი სიცხადისთვის, დოკუმენტური ფილმის გადაღება გადაწყდა. „ცხინვალის 1920“ – ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომლის გადაღებები ამ წუთებშიც მიმდინარეობს. უფრო კონკრეტულად რა გახდა ფილმის გადაღების მიზანი, რას გავიგებთ, რა მოლოდინები არსებობს და არის თუ არა ჩვენს საარქივო მასალებში შემონახული დოკუმენტები საკმარისი – ამ და სხვა საკითხებზე ფილმის სცენარისტი, პროფესიონალი ისტორიკოსი დიმიტრი სილაძაძე გვესაუბრება:

– რა იყო ფილმის გადაღების მაპროვოცირებელი მიზეზი და რომ გვითხრათ, რა არის თქვენი მთავარი მიზანი – რას გავიგებთ თქვენი ფილმიდან?

– ფილმის მიზანია რეალურად გავიგოთ, თუ რა მოხდა 1920 წელს ცხინვალის რეგიონში, რაც შეეხება მაპროვოცირებელ მიზეზს, ეს გახდა ვლადიმერ პუტინისა და რუსეთის სათათბიროს გადაწყვეტილება, რომ მათ განიხილონ და მოსმდარიან მინიჭონ გენოციდის სტატუსი – რაც არის ისტორიის დამახინჯება და ზოგადად, ისტორიის გაყალბებულად გამოყენება საინფორმაციო ომში. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ რეალურად რა მოხდა 1920 წელს ცხინვალის რეგიონში და რის გამო მოხდა, რა შედეგები მოჰყვა და რა იყო სინამდვილეში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი დოკუმენტური ფილმი.

– რა მოხდა 1920 წელს ცხინვალის რეგიონში?

– ოსთა აჯანყება 1920 წლის მაისში დაიწყო, როცა ქართული ჯარის ნაწილები საბჭოთა რუსეთის XI არმიის სამხედრო შენაერთებს ქვეყნის საზღვრებთან ებრძოდნენ. როკის რაიონში აჯანყებულმა ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მათ შეუერთდნენ როკის ხეობის, კუდაროს, ქემერტის და ყორნისის ოსებიც. 7 ივნისს აჯანყებულებმა ცხინვალის აიღეს, ხოლო 8 ივნისს ცხინვალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1920 წლის 12 ივნისს ქართულმა ჯარმა დაბა ცხინვალის აიღო, ხოლო 23 ივნისს ოსების დარჩენილი ნაწილი ჩრდილოეთისკენ განდევნა. ქართული ჯარის წარმატებულმა სამხედრო ოპერაციამ აჯანყების ლიკვიდაცია მოახდინა და შესაბამისად შიდა ქართლის მოსახლეობა დევნილობისგან იხსნა.

– გამოდის, რომ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ეს იყო აჯანყება და არა გენოციდი?

© „ჩაი უნ ბითარი“!

ტურიზმი, როგორც იარაღი მხარეთა კოლონიალიზაციისთვის

როგორც ცნობილია, გარდაცვლილი თამუნა ბაჩალიაშვილის მხარე არ ენდობა სახელმწიფო ექსპერტიზას და საქმეში რუსეთის მოქალაქის, უკრაინელი გიდის გალინა კარმუშინას ჩართვას ითხოვდა. ამ ფაქტმა და ამ ქალბატონის შექარაშვილის საქმეზე „საექსპერტო“ განცხადებებმა მოვლენათა განვითარებას საინტერესო და გასაანალიზებელი მიმართულება შესძინა, როდესაც დამირეკა ჩემმა ახლობელმა მღვდელმსახურმა.



გონიერ მოძღვართან საუბარში შევიტყვე, რომ გალინა კარმუშინას სახით, მან ამოიციო ის გიდი, რომელმაც შარშან მის ტაძარში რუსულენოვანი ტურისტების ჯგუფი შემოიყვანა, რა დროსაც აწვდიდა მათ იმდენად დამახინჯებულ და ცილისმამაველურ ინფორმაციას ქართული ეკლესიისა და მართლმადიდებლობის ისტორიის თაობაზე, რომ ტაძრის სხვა მსახურებთან ერთად, მოძღვარმა სთხოვა ამ ქალბატონს ტურისტებთან ერთად დაეტოვებინათ ეკლესიის ტერიტორია. გალინა კარმუშინას „საექსპერტო“ მონაცემებით, ტურისტებმა გაიგეს, რომ „მართლმადიდებლობა საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა, ხოლო აღნიშნული ტაძარი (მე-9 საუკუნის!!!) მას შემდეგ გახდა ქართული, რაც იგი სომხურ ეკლესიას უკანონოდ ჩამოართვეს“.

ზარზე შევსულვიყავი, როგორც არასტანდარტული ტურების სცენარისტი და ტურისტული ჯგუფების გიდი. ამ მიმართულებით სოციალურ ქსელებში, ტურისტულ საიტებზე და ცალკეული ტურისტული კომპანიების დონეზე წავაწყდი ერთ საინტერესო კანონზომიერებას – ტურიზმის კონკრეტულად ეს სეგმენტი (რუსეთი/უკრაინა) დიდი ხანია ნაცემოდრობის რუსულენოვანი კონტინენტის კონტროლის ხელშია, რომლის ერთ-ერთ „რუს კარდინალს“ წარმოადგენს საქართველოში თავის დროზე სააკაშვილის მიერ ჩამოყვანილი და მისი პი-

რადი მეგობარი, რუსული წარმოშობის ჟურნალისტი თავის უკრაინელ მეუღლესთან ერთად. სწორედ ის და მასთან დაახლოებული ნაცემოდრობის სხვა წარმომადგენლები ფლობენ ტურიზმის ამ მიმართულებით ე.წ. საკონტროლო პაკეტს. ხოლო საკუთარ კლიენტებში, მეფის რუსეთისა და საქართველოზე ბოლშევიკური შეხედულებების საუკეთესო ტრადიციებში, ახდენენ ჩვენს ქვეყანაზე, მის ისტორიაზე გაუკუღმართებული წამოგდენების ჩამოყალიბებას. ამას ჰქვია „მეზუთე“ კოლონა, ამას ჰქვია ჰიბრიდული ომის ნაწილი, ამას ჰქვია რუსეთის ოკუპაციის გაგრძელება-ხელშეწყობა და ყოველივე ამით დაკავებული ნაცემოდრობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი – „ჩემი შენ გითხარის“-ს პრინციპით აპრავებს ყოველივეს.

ბა – ამ ჯგუფის მიერ მყისიერად იქნა დაბლოკილი, თუმცა საქმის ვითარებაში გარკვევის შემდგომ, ამ ეშმაკის მოციქულებთან ძალისა და ენერჯის ფუჭად ხარჯვის სურვილი აღარც მე დამრჩენია. ჩემ მიერ გაკეთებულმა ამ აღმოჩენამ, ნაცემოდრობის – როგორც ნეოტროციზმის, ბოლშევიკური რუსეთის იდეოლოგიური შემკვრელის – ზოგად დახასიათებაში, კიდევ ერთი დამატებითი „პაზლი“ ჩამასვეინა გრიგოლ ვაშაძის, ელენე სოჭარაძის და საბჭოთა ავტორიტარული ლიდერებზე შეყვარებულ სააკაშვილთან ერთად. ხოლო მოქმედი ხელისუფლების რუსეთის მიმართ სიყვარული და დანაშაულების მიღმა, საკუთარი პარტაქტივის რუსეთზე ფინანსური და იდეოლოგიური მიზნის მსოლიოდ და მსოლიოდ გადაფარვის უმკაცური მცდელობაა. სამწუხაროა, რომ მათ ამ დაგეგმულ საფარგულში ხედება ჩვენს ზოგიერთი დასავლელი მეგობარი. თუმცა მათი ამ საფარგულთან განთავსება და მოვლენათა განვითარების რეალურ სურათზე სწორი ხედვის ჩამოყალიბება – ჩვენი პარტიოლური ვალდებულებაა.“

დავით ძარტიველიშვილი

© „არაო, არაო, მელა მატყუარაო“?

აფხაზეთი - აპიდატასტროფის ფლვარზე



ცა უკვე დღეს აფთიაქების თანამშრომლები ხელთათმანებზე, პირბადეებსა და სადებიფექციო საშუალებებზე მოთხოვნის ზრდას აღნიშნავენ. ჯერჯერობით ეს ყველაფერი სააფთიაქო ქსელში არის, მაგრამ სადამდე ეყოფა აფხაზეთს არსებული მარაგი – ვერავინ ამბობს. იმის გაცნობიერების ფონზე, რომ რესურსები არც ისე ბევრია, ახალ მინოდებებს კი არსაიდან უნდა ველოდოთ, აბუხად აგდება გამოიყურება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მარია ზახაროვის ქმედება: 23 ივლისს ასობით ტელეკამერის წინ მან მთელს მსოლიოს უამბო თქმულება აფხაზეთისთვის რეგულარული დაზარების შესახებ. „პანდემიის დასაწყისიდან, აფხაზეთი მზარის თხოვნის შესაბამისად, ჩვენ უსასყიდლოდ ვანვიდით მას ტესტ-სისტემის „ექსპერტს“. მუდმივი დახმარების გარდა, რუსეთმა აფხაზეთში შვიი ზღვის ფლოტის რადაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ქვედანყოფები გაგზავნა, რომლებმაც სპეცტექნიკის გამოყენებით ობიექტების სადებიფექციო დამუშავება განახორციელეს. რუსეთი მზადაა, მომავალშიც გასწიოს აუცილებელი დახმარება“, – განაცხადა ზახაროვამ.


ვირუსოლოგიის დარგში ადგილობრივი „ექსპერტებისა“ და შეთქმულების თეორიის სპეციალისტების მტკიცებების საწინააღმდეგოდ, Covid-19-მა აფხაზეთამდე არა მარტო მიადნია, არამედ რესპუბლიკის ცხოვრების ჩვეულ სტილს სერიოზული ცვლილებებით ემუქრება. აფხაზეთში ვირუსის გავრცელების საფრთხეს თავიდანვე უკიდურესად არასერიოზულად ეკიდებოდნენ. სანამ Covid-19 ჩინეთის, იტალიის, აშშ-ის შიდა პრობლემად რჩებოდა, ინტერნეტის აფხაზეთის სეგმენტში ფაქტობრივად აჭრელებული იყო ხუმრობებით „ნივრისა და ლიმონის სასწაულმოქმედი ძალის“ შესახებ. ოდნავ მოგვიანებით სტაჟიანი „იუმორისტები“ ნცანძებსაც გადასწვდნენ – მათი მუშეობით ყველას დაინფიცირებენო და ეს რადაც მსოლიო ვაქცინაციასაც კი დაუკავშირეს, რომლის „წყალობითაც“ ყოველი ადამიანი „ჩიპირებული“ იქნება და მთელი კაციობრიობა რადაც იდუმალი ძალების კონტროლს დაექვემდებარება.

ხუმრობების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა, როგორც კი ვირუსი აფხაზეთის საზღვრებს მიუახლოვდა. თუმცა ძალები იმისთვის, რომ პრობლემას სერიოზულად მისდგომოდა, რესპუბლიკის მოსახლეობამ თავის თავში ვერც მაშინ იპოვა, როცა აფხაზეთის მეზობელ რუსეთში ღიად დაინყეს საუბარი ასობით ათას ინფიცირებულზე. ცალკეული არასერიოზული მოქალაქეები მსოლიო პანდემიაზე თვალს ხუჭავდნენ, აგრძელებდნენ აქტიურ მოგზაურობას რესპუბლიკაში და პირდაპირ დედაქალაქის ცენტრშიც კი აწყობდნენ პიკნიკებს. ამის გამო აფხაზეთში ახალი ხუმრობა გაჩნდა – ქვეყნის ნებისმიერ წერტილში დაუბრკოლებლად დასვენების შესახებ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები აგრძელებდნენ მონოდ-

უარესება მათ ხელს არ უშლიდათ, ხელისუფლებისგან მოეთხოვებოდა იგივე სოჭში დაუბრკოლებლად გამგზავრება საშოპინგოდ. მედიკოსების ყველა რეკომენდაცია არა უბრალოდ იგნორირებოდა, ადამიანებს არ სჯეროდათ თავად დაავადების არსებობის და ინტერნეტის მეშვეობით ამაში სხვებსაც არწმუნებდნენ. და ესოდენ მასობრივი სვეფსისის ფონზე სოხუმში დაავადების მასშტაბური აფთიაქების შესახებ ინფორმაცია მხის გავარდნას ჰგავდა. ამჯერად საქმე შესაძლოა, უკვე ასობით ინფიცირებულს ეხებოდეს. ქვეყნის შიგნით ინფექციის გავრცელების ეპიდენტრად აფხაზეთის ორი ნამყვანი საავადმყოფო – რესპუბლიკური და პირველი კლინიკური იქცა. რიგი განყოფილებები უკვე დაიკეტა, თავად კლინიკები კი პაციენტებს მსოლიოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ემსახურებიან. ყველა ინფიცირებული მედიკოსი ჰოსპიტალიზებულია გუდაუთის კოვიდ-ცენტრში, ხოლო პირები, რომლებსაც მათთან კონტაქტი ჰქონდათ, თვითიზოლაციაში მოათავსეს. ამავდროულად გაჩნდა ინფორმაცია პარლამენტის ორი ინფიცირებული დეპუტატის შესახებ. ორივე ესნრებოდა გაფართოებულ სხდომებს, რომლებშიც რესპუბლიკის პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც მიიღეს მონანილობა. ორივე შეხვედრას, სადეპუტატო კორპუსისა და მედიის წარმომადგენლების გარდა, კიდევ 30-მდე სხვა პირი დაესწრო. თითოეულ მათგანს შესაძლოა, უშუალო კონტაქტი ჰქონოდა ინფიცირებულ დეპუტატებთან და შემდეგ ინფექცია უკვე პარლამენტს გარეთ გავერცილებინა. ამჟამად აფხაზეთის მცხოვრებლები მოვლენათა შემდგომ განვითარებას სუნთქვაშეკრულები ელოდებიან. თუმ-

არჩევნები 3 ნოემბერს გაიმართება

თითონი სახლის აპარატისა და აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის მონოდების მიუხედავად, ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები გეგმის მიხედვით, 3 ნოემბერს ჩატარდება.



„ჩვენ არჩევნებს 3 ნოემბერს ჩატარებთ და პრეზიდენტი ამ არჩევნებს მოიგებს“, – განაცხადა მედოუსმა „სიბიესის“ ეთერში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 30 ივნისს „ტიტერზე“ დაწერა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების გადადება სურს. დონალდ ტრამპი მიიჩნევს, რომ ფოსტით ხმის მიცემა ზუსტ შედეგს ვერ აჩვენებს.

სერბები თავს იმართლებენ

სერბეთის პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩის თქმით, სერბეთმა ბოლო წლებში აზერბაიჯანს სომხეთზე ათჯერ მეტი შეიარაღება მიჰყიდა.



„აზერბაიჯანს და სომხეთს ჩვენი მეგობრები არიან. ბოლო წლებში აზერბაიჯანს ათჯერ მეტი იარაღი მივყიდეთ. სამხედრო მრეწველობაში დასაქმებულია 17 ათასი ადამიანი, რომელთაც სამუშაო ადგილები უნდა შეინარჩუნონ. ისმის კითხვა, მაშინ ვის უნდა მივყიდოთ შეიარაღება? ვისაც არ უნდა მივყიდოთ, ჩვენ მაინც გაგავაკრიტიკებენ“, – განაცხადა

სერბეთის პრეზიდენტმა. შეგახსენებთ, მანამდე გავრცელდა ცნობა, რომ სერბეთმა ივლისის დასაწყისში სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე დაწყებული სამხედრო დაპირისპირების დროს, შეიარაღება მიანოდა სომხეთს, რასაც ბაქოში არამეგობრული ნაბიჯი უწოდეს.

როკოსოვსკის თავი მოატყუან

პოლონეთის ქალაქ ლეგნიცაში, პოლონური წარმოშობის საბჭოთა მარშლის კონსტანტინ როკოსოვსკის ქანდაკება კვარცხლბეგიდან მოიპარეს და თავი მოატყუან.

როკოსოვსკის ქანდაკება წითელარმიელთა სასაფლაოზე არსებული ღია ექსპოზიციის ნაწილი იყო. ქანდაკების მოპარვიდან მეორე დღეს ის ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე თავმოტყუილი იპოვეს.



ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, პოლიცია ეძებს დანაშაულის შემოქმედებს.

მომხდარ ფაქტს შეერთებულ შტატებში რუსეთის საელჩო გამოეხმაურა და სამარცხვინო უწოდა.

როკოსოვსკი ვარშავაში 1896 წელს დაიბადა. ის იყო მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი, სარდლობდა რა სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ფრონტებს.

როკოსოვსკი სარდლობდა გამარჯვების ალღუმს მოსკოვში, წითელ მოედანზე.

ომის შემდგომ, 1949 წელს იგი დაინიშნა პოლონეთის თავდაცვის მინისტრად.

შეზღუდვებს აკროტისტებენ

ბერლინის ქუჩებში ათასობით ადამიანი შეიკრიბა მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების გასაპროტესტებლად, რომელიც კორონავირუსის გავრცელების შეკავების მიზნით შემოიღეს.

როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, საპროტესტო აქციის მონაწილეები არ ატარებდნენ პირბადეებს და არც სოციალურ დისტანციას იცავდნენ.

პოლიციის განცხადებით, აქციაზე 17 000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა.

საპროტესტო აქცია გამართა მონოდებით „პანდემიის დასასრული – თავისუფლების დღე. ზოგიერთი მონაწილე აცხადებდა, რომ „ყველაზე დიდი შეთქმულების თეორია, სწორედ პანდემიაა“.

მედია იუწყება, საპროტესტო აქციის ზოგიერთი მონაწილე ულტრამარჯვენეთა დროშებსა და სიმბოლოებს ატარებდა.



მონაპეობრივი სისოსხლე მაინც სხვა რამეა...

„არაფერი დააკლდა აკაკის იმით, რომ არ იყოს ნინო, ის თავისი თავი, რაც მას ჰქონდა და აქვს, სრულიად საქართველოსი ერთი აღამიანის უკვდავებისთვის“

აკაკი წერეთლის 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით შესაძლოა, მისი წმინდანად შერაცხვის საკითხი დაისვას. ამ ინიციატივის ავტორთა აზრით, აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ჩვენი ერი გამოაღვიძა, მას სულიერად წარუძღვა, ამდენად, აკაკი, ილიას მსგავსად, წმინდანად უნდა შეირაცხოს.


For.ge დანტერესდა, რას ფიქრობენ ამ ინიციატივის შესახებ პოეტები და სამეცნიერო წრის წარმომადგენლები?

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაცვალა გონაშვილისთვის „განთიადის“ ავტორი ისედაც წმინდანი, რადგან, როდესაც ადამიანი ისეთ ლექსს წერს, რომელიც ერის ცნობიერებაში მარადიულად რჩება, ის უკვე წმინდანი.



„თუმცა რამდენად არის აკაკის წმინდანად შერაცხვა საჭირო, მე არ ვიცი. მონაპეობრივი სიცოცხლე მაინც სხვა რამეა, ილია მაინც მონაპეობრივად აღესრულა, ილიას მდგომარეობა, მისი ღვაწლი, მონაპეობრივი სიკვდილი სხვანაირი იყო და სწორია, რომ ილია წმინდანად შერაცხეს. აკაკი ისედაც უდიდესი სახელია და არ ვიცი, რამდენად საჭიროა წმინდანად შერაცხვა. აკაკის შემდეგ შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ვაჟას წმინდანად შერაცხვა, ვაჟა უფრო მეტად ტანჯული ცხოვრებით მცხოვრები კაცი იყო და უთქვამს კიდევ, „მაგრამ გაიგებთ ერთხელაც, ვინ ახლოს ვსდგევართ ღმერთთან“. ზოგჯერ არ არის აუცილებელი ადამიანის წმინდანად შერაცხვა, ისიც საკმარისია, იყოს უდიდესი პოეტი და მარადიულად დარჩეს ქართველთა მეხსიერებაში. ყველას თავისი გზა აქვს. ილია აუცილებლად უნდა ყოფილიყო წმინდანი სიაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის აკაკი გაცილებით დიდი პოეტია, ვიდრე ილია, მაინც მიმაჩნია, რომ სწორი იყო, როცა ილია წმინდანად შერაცხეს. არ გამიკვირდა, როცა დიმიტრი ყიფიანი შერაცხეს წმინდანად, მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც ხელოვანი, ვერც აკაკის და ვერც ილიას ვერც მისწვდებოდა. უბრალოდ, დიმიტრი ყიფიანი თავისი ცხოვრების წესითა და მონაპეობრივი სიკვდილით ამ გზას იმსახურებდა. სხვა რამ არის წმინდანობა და აბსოლუტურად სხვა რამეა დიდი მწერლობა. არ არის აუცილებელი, ყველაფერი ჰქონდეს ერთ ადამიანს“, – აღნიშნა მაცვალა გონაშვილი.

მანვე განმარტა, რომ არც ერთი ქართველი მწერალი უარს არ იტყვის აკაკის წმინდანად შერაცხვაზე, როგორ შეიძლება, ენა მოუბრუნდეს კაცს და უარი თქვა ამაზე, პირიქით, სხვა შარავანდედითაა შემოსილი აკაკი, მაგრამ არც არაფერი დააკლდა აკაკის იმით, რომ არ იყოს წმინდანი. ის თავისი სიცოცხლეში და აქვს დღესაც, სრულიად საკმარისია ერთი ადამიანის უკვდავებისთვის.



მწერლისა და პოეტის თემურ ჩალაბაშვილის მოსაზრებით, აკაკის წმინდა-

ნად შერაცხვაზე საუბარი უბრალო მოკვდავთ უარყოფითად არ შეგვიძლია, რადგან აკაკი ისედაც წმინდანი.

„ისეთი მწერლები, როგორც ილია, აკაკი და ვაჟა, მე ღმერთებდა მიმაჩნია და ღმერთებზე საუბარი, მათი განსჯა არ შეიძლება. ღმერთებს მხოლოდ სანთელს უნდა მივუძღვინოთ. მინიჭებები რა საჭიროა, აკაკი წმინდანი, „განთიადის“ ავტორს რა უნდა შეშლოდა ისეთი, რომ მისთვის დაენათო წმინდანობა. რაც შეეხება ვაჟას, წმინდანზე მეტი მგონია მე ვაჟა-ფშაველა, ის კიდევ სულ სხვა ფენომენია. ასე რომ, ტყვიის სროლა არ არის მართო მონაპეობრივი აღსასრული, გალაკტიონს ტყვია არ ესროლეს, მაგრამ მიიყვანეს ფანჯარასთან და გადაახტუნეს“, – აცხადებს თემურ ჩალაბაშვილი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი მიიჩნევს, რომ აკაკი წერეთელი დღევანდელ სიტუაციაში არის ქართველობის იდენტობის მარკერი ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე და მათ უდიდესი დამსახურება აქვთ ქართველი ერის წინაშე.

„ჩვენი სამეცნიერო ცენტრის ინიციატივა ეფუძნება დიდი ქართველი მამულიშვილის აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღს. ჩვენი სამეცნიერო ცენტრი დაარსებულია უწმინდესის მიერ, რათა აღდგეს ტრადიციული ურთიერთობები, რაც არსებობდა ეკლესიასა და მეცნიერებას შორის. ჩვენ ვიკრიბებით, რათა მრგვალი მაგიდასთან შევფასოთ აკაკის დამსახურება, მის შემოქმედებაში ქრისტიანული რელიგიის პლასტები. მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა დაქუცმაცებული საქართველო რუსეთმა თავის ძალმომრეობით გააერთიანა, ძალიან იყო დაშორებული ცალკეული კუთხეები, კონფესიური იყო ქართველობა, იყვნენ კათოლიკეები, მართლმადიდებლები, მაჰმადიანი ქართველები, ამ განსხვავების აღმოსაფხვრელად ილი-



ამ და აკაკიმ უდიდესი ძალისხმევა გამოიჩინეს. წერათლების გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული თეატრი, ქართული ლიტერატურა, ქართული სკოლა, ეს ყველაფერი მათი ინიციატივითაა გაკეთებული. მათი და მათი მეგობრების ძალისხმევა უდიდესია ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესში. თითოეული ქართველი ვალდებულია, მუხლი მოიყაროს ამ დიდი მამულიშვილების წინაშე, რომლებმაც სწული გადეს, რასაც დაეფუძნა შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ფორმირება. დიდი ხნის განმავლობაში თვით ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც კი სწორედ ილიასა და აკაკის შემოქმედება ქმნიდა იდენტობის საფუძველს. პატრიარქი სწორედ იმას გვასწავლის, რომ ჩვენი დიდი მამულიშვილების შეხედულებების საფუძველზე აღვზარდოთ მომავალი თაობა“, – აცხადებს ალექსანდრე დაუშვილი და იხსენებს, რომ აკაკი წერეთლის წმინდანად შერაცხვის საკითხი ადრეც იდგა, იყვნენ ამის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ ეს საკითხი ბოლომდე არ მისულა.

მისივე თქმით, წმინდანად შერაცხვას თავისი კანონიკური საფუძველები აქვს და ეს მართო სურვილებით არ ხდება. ამისთვის არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკითხს სწავლობენ და არსებობს სინოდი, რომელიც ამას განახორციელებს.

მანანა ნოზაძე

ჭადრაკი

ჩაპაიონობა დაიბრუნა

ნონა გაფრინაძე-შვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ქალთა 77-ე ეროვნული ჩემპიონატი...



ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მესამედ მოიპოვა.

ჩემპიონატის საბოლოო შედეგები ასეთია: ნინო ბაციაშვილი - 7, მერი არაბიძე - 6.5, ბელა ხოტენაშვილი - 6.5...

2020 წლის ჩემპიონი, დებულეებით, საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატად დასახელდა...

ლევან ცინცაძე

ლეგიონერი

საპატიო მესუთა



მზანის „რუბინის“ ქართველი ფეხბურთელი ზურაბი დავითაშვილი რუსეთის პრემიერლიგის გასულ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო დრიბლიორი იყო.

როგორც გაირკვა, ჩვენებურმა 122 ცდიდან 74 წარმატებით დაასრულა (61%) და ეს ჩემპიონატში მე-5 შედეგი გამოდგა.

„ჯვაროსანს“ მხოლოდ აირტონმა (61%), ოდისე რომშიმ (62%), ჟოაო მარიომ (63%) და ნიკოლა ვლაშიჩმა (63%) აჯობეს.

გიორგი შოთაძე

ოქიანის გაღმა


სანდრო მამუკელაშვილი დრაფტიდან მოიხსნა

ძარბაზივანი კალაბურთელმა სანდრო მამუკელაშვილმა NBA-ს დრაფტიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

მან ეს გადაწყვეტილება გამოცდილების მიღების მიზნით ახსნა და ფიქრობს, რომ თუ მომდევნო სეზონსაც „სეტონ ჰოლში“ გაატარებს, NBA-ს კლუბები გაისად პირველ რაუნდშიც აირჩევენ.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებური ჭაბუკი სტუდენტურ ლიგაში (NCAA) თამაშობს და „სეტონ ჰოლის“ ლირსებას იცავს.

ვიტალი ჯაფარიძე



ვ ა ლ ი

მზა კარგა ხნის ჩასული იყო. ქალები სუფრას შლიდნენ - ოჯახი სავსე იყო ემზადებოდა. ამ დროს ზარმა დარეკა.

კარი დათომ გააღო. კიბის მოაჯირს ჭადრაკთმთიანი წვერმოშვებული ჩია კაცი დაჰყრდნობოდა.

ბატონი ზურაბი აქ ცხოვრობს? - იკითხა მორიდებით.

დიას, მობრძანდით. - დათომ უცხო მამაკაცი შინ შეიპატიჟა.

უპ, რა ცუდ დროს მოვსულვარ! - შეიცხადა უცნობმა, კარის ზღურბლს რომ გადააბიჯა.

რას ამბობ, შე კაცო, სტუმარი ღვთისაა, - შეეხმიანა სავარძელში მოკალათებული ხანშიშესული მამაკაცი, რომელიც გაზეთს კითხულობდა.

მობრძანდით, ნუ გერიდებათ, აგერ დაბრძანდით. - გაზეთი გვერდზე გადადო და იქვე სავარძელზე მიუთითა.

ქალებმა ოთახში შემოსულს წუთით შეავლეს თვალი და საქმე განაგრძეს. სტუმარი მასპინძლის წინ გაჩერდა.

ჩემსავით გაჭალარავებულხარო, ბატონო ზურაბ, იერი კი ძველებური შეგრჩენიათ! - ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

სახსრები მანუხებს და მაპატიეთ, რომ დამჯდარი ველაპარაკებით, - უხერხულად შეიშუშნა ოჯახის უფროსი.

ეპ, მეც ვერ ვარ კარგად, მაგრამ თავს ძალას ვატან, - უცნობმა სავარძელი ახლოს მოაჩოჩა, ფრთხილად ჩაეშვა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

ოთახი მოათვალიერა, შემდეგ მზერა ისევ მასპინძელს გაუსწორა.

ვერ მიცანით, ხომ?!

სიბერეს დაუდგეს თვალები...

თქვენი კურსელი ვარ, ზაური, არქეოლოგებიდან.

მოიცა... ზაური? - შუბლზე თითი მიიკაკუნა. - როგორ არა, გამახსენდა, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც დამეკარგე.

59 წელი, - დააზუსტა სტუმარმა.

ოპ, ზაურ, ზაურ... მაყვალას შმაგი მიჯნური, არა? - სახე გაებადრა მასპინძელს.

ჰო, მაყვალასი... - მძიმედ ამოიხვნეშა.

ვინა. - ჩემი ცოდვა ჰქონდეს, ცხოვრება დამინგრიდა.

რატომ, რა მოხდა?

გახსოვს, მოსკოვში რომ გავყევი?

როგორ არა, თითქოს გუშინ იყო.

თურმე იქ შეყვარებული ჰყოლოდა და სადგურიდანვე ამიორთქლდა. გულის გადასაყობლებად რესტორანში დავლიე და ვიჩხუბე, მილიციებს დავარტყი და ხომ იცი, სადაც მიკრავდნენ თავს.

მერე?

საქართველოში არ დავბრუნებულვარ. სადმე რომ გადავყვრიდი, მოვკლავდი, ალბათ. ბევრი ვინონიალე რუსეთში. უმაღლესი ციხეში დამჩრა.

რა საქმეც წამოვიწყე, ყველგან ხელი მომეცარა. პირველი ინფარქტის შემდეგ ჩამოვედი თბილისში. შარშან მეორედ გადავურჩი სიკვდილს...

ამდენი ხნის შემდეგ ჩემი თავი რამ გაგახსენა, ძმაო?

ზაური სავარძლიდან წამოდგა.

მაპატიეთ... უნდა დაგტოვოთ.

ასე უცებ?.. რა განწყობა, შე კაცო?

შეცბა ზურაბი. - სუფრაც მზად არის, ჩვენი შეხვედრისა თითო გადავკრათ.

ახლა ჩემთვის დალევა არ შეიძლება, სხვა დროს იყოს... - ზაური წამით ჩაფიქრდა. - ზურაბ, მოსკოვში გამგზავრების წინ ათასი მანეთი რომ გესესხე, ხომ არ დავაგინებ?

ეს რაღამ მოგაგონა, კაცო?

ხვალ რომ გაბრელოვინი მომიკაკუნებს, არ მინდა ვალით წავიდე ამ ქვეყნიდან, - კოსტუმის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

მომობას გაფიცებ, თუ არ გინდა, სამუდამოდ დამეკარგე, ახლავე აიღე, - ხმა გაეზარა მასპინძელს.

ჩემო ზურაბ, ვერ წარმოიდგენ, მთელი ცხოვრება როგორ მანუხებდა სინდისი, ვალს რომ ვერ გიბრუნებდი. ახლა მომეცა ამის საშუალება და უარს არ მივიღებ, - ზაური დაბნეულ ოჯახის წევრებს დაემშვიდობა, კარი გააღო და ჩაბნელებულ სადარბაზოში გაუჩინარდა. ზურაბმა კონვერტი გახსნა. შიგ ათასი ლარი იდო.

ვაჟა დანელია

ბონიერი ლეკვი

ტაილანდში 4 თვის ლეკვი სახელად ჰიუ ნგერნი თავისი საზრიანობის გამო ახალი ამბების გმირი გახდა.

პატრონმა ლეკვი სასიეროდ გაუშვა, სანამ მუშაობდა, მაგრამ ძალდასხვენილი იყო, რომ დასაბრუნებელი გზა ვერ იპოვა. ჰიუ ნგერნი პატრონს 6 საათის განმავლობაში ეძებდა, თუმცა, შემდეგ იმ ვეტერინარული კლინიკის გზა გაახსენდა, სადაც გეგმურ აცრებს იტარებს.

როცა ჰიუ ნგერნი კლინიკის ზღურბლზე აღმოჩნდა, კარს ფხაჭინდა, ყეფდა და ყველანაირად ცდილობდა ყურადღების მიპყრობას. ეს მომენტი დაკვირვების კამერამ დააფიქსირა და მოგვიანებით ვიდეო კლინიკის Facebook-გვერდზე გამოქვეყნდა.

კლინიკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ლეკვი შენიშნა და კლინიკაში შეუშვა, ვეტერინარებმა კი ჰიუ ნგერნი იცნეს და მის პატრონს დაუკავშირდნენ.



მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჟირაფი

მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჟირაფი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

ჟირაფი, სახელად ფორესტი, ავსტრალიაში ბინადრობს. ცხოველი 12 წლისაა და მისი სიმაღლე 5 მეტრი და 70 სანტიმეტრია.

ყველაზე მაღალი ჟირაფი გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა სპეციალური აღჭურვილობით გაზომეს. პროცესს რამდენიმე თვე დასჭირდა.



რა მოხდა საუკუნის წინათ სხინვალის რეგიონში?!

(მეექვსე გვერდიდან)

– 100%-ით დასტურდება, რომ ეს იყო საბჭოთა რუსეთის მიერ ორგანიზებული შეიარაღებული დაპირისპირება საქართველოს მთავრობასთან, ასევე, 100%-ით დასტურდება ის, რომ არანაირი გენოციდი იქ არ ყოფილა, – ძალის გამოყენებით აჯანყება ჩაახშეს. ამას ვერ უარცყოფთ და ეს არც არის ჩვენი მიზანი. ეს არ იყო რომელიმე ეთნოსის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, რადგან ეს რომ ასე ყოფილიყო, ოსების უდიდესი ნაწილი საქართველოში არ დარჩებოდა და არც იმ ქმედებას – სამხედრო დაპირისპირებას დაგმობდა, რომელიც ცხინვალის რეგიონში საკუთარი სახელმწიფო-

რაც ჩვენ პროცესს თავიდან ბოლომდე გვიჩვენებს, თუ რა მოხდა 1920 წელს ცხინვალის რეგიონში თავისი მასშტაბებით, დაგვემვით და ა.შ. ეს იყო უშუალოდ ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა, მეორე სახელმწიფოს მოსახლეობის ნაწილის აჯანყება, დაფინანსება, იარაღის მიცემა. საბჭოთა პერიოდში, ისინი ამბობდნენ და ამბობდნენ, რომ ეს იყო ბოლშევიზმის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა საქართველოში და ამას ეთნიკური ხასიათი არ ჰქონია, იმ პერიოდში დოკუმენტებიც კი, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია, ამას გვეუბნება. რუსეთი ამ ყველაფერს საინფორმაციო ომის



სადმი იყო ჩადენილი. ვინც უშუალოდ იყო ჩართული საბრძოლო მოქმედებებში, მათ, რა თქმა უნდა, შეეხოთ ეს ყველაფერი, მაგრამ მათ, ვინც არ იყო ჩართული, სამხედრო მოქმედებებისას არც შეხებიათ და არაფერი დასაშვებიათ. დავუშვათ, ეს რომ ყოფილიყო გენოციდი, რომელიმე ეთნოსის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, მაშინ საქართველოში ვერ დარჩებოდა ოსების ის რაოდენობა, რაც დარჩა, მათაც შეეხებოდნენ, მათაც განდევნიდან ქვეყნიდან და რაღაც ტიპის რეპრესიებს მანაც ექნებოდა ადგილი, მაგრამ იქ მსგავსი არაფერი იყო და არ მომხდარა. პირიქით, იმ ძალის გადაჭარბებაზე სახელმწიფოს ჰქონდა რეაქცია, რათა იგივე არ გაგრძელებულიყო, შესაბამისად, აჯანყება ჩაახშეს.

ნაწილად იყენებს, შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება, უფრო მეტად დეტალებში ჩასვლა... ეს არ არის რიგითი დოკუმენტური ფილმი, ჩვენ გვჭირდება ძალიან დიდი ისტორიული სიზუსტე, რადგან ჩვენი იარაღი მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეა. ჩვენ არ გვჭირდება ისტორიის შეცვლა, რაიმეს დამახინჯება და პროპაგანდისტული ხასიათის ფილმი, ჩვენ გვჭირდება სიმართლე.

ფილმის დასრულება სექტემბრის დასაწყისში იგეგმება. იდეის ავტორები ვარაუდობენ, რომ საქართველოს საარქივო ფონდში დაცული მასალებით შეძლებენ რუსეთის იდეოლოგიურ მანქანას, რომელიც გამალებით მუშაობს, ისტორიული სიმართლე მთელი სიზუსტით დაუპირისპირონ, რათა რუსეთმა „მომწინდელი ცაზე“ გაკეთებული განცხადებებით, ცხინვალის დე ფაქტო პარლამენტარების ნაქებება და საუკუნის წინათ მომხდარ აჯანყებაზე გენოციდის იარაღის მიკერება ვეღარ შეძლოს.

როგორც ისტორიკოსი ლევან თოიძე აღნიშნავს: „ამბობენ, ჭრილობებს სიმართლე კურნავსო. არა ურთიერთსაყვედურისათვის, არამედ სიმართლის დასადგენად და სამომავლოდ გაკვეთილების გამოსატანად ობიექტური ისტორიის მოხმობაა საჭირო“.

„აპცინტი“

– ამ ფილმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ისტორიული სიზუსტე, რა მოლოდინები გაქვთ, რამდენად შეძლებთ იმის ასახვას, რაც რეალურად მოხდა, არის თუ არა საკმარისი ის დოკუმენტები, რომლებიც ჩვენს საარქივო მასალებშია დაცული?

– უკვე არსებული დოკუმენტების გარდა, რასაც რუსეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ეყრდნობა, არსებობს უამრავი სხვა დოკუმენტი, რომელიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული და ქართულ არქივებშია დაცული – ის,

თამბაქო - 12.7%-ით, ალკოჰოლური სასმელები კი 5.9%-ით გაიჭირდა

2019 წლის ივლისიდან 2020 წლის ივლისამდე ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში ფასების 9%-იანი მატება დაფიქსირდა. ჯგუფის წვლილი წლიურ ინდექსში 0.61 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

აღნიშნულ ინფორმაციას, სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. უწყების ცნობით, ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (12.7 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (5.9 პროცენტი).



2020 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში – 0.5 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 5.7 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2020 წლის ივლისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 5.8 პროცენტით განისაზღვრა.

სანთელი

ჯ. პატიაშვილი, ი. ოსიპოვი, გ. ჯაიანი, გ. ცაგარელი, რ. გილიგაშვილი, ა. გოგელია, ზ. ცეციტიშვილი, გ. კოსტავა, ზ. კუპრაშვილი სამიძიარს უცხადებენ ღვანღმოსის სამეურნეო მუშაკს და ცნობილ მოკრივეს, ბატონ ირაკლი მელაძეს ძმის

ნოდარ მელაძის

გარდაცვალების გამო.

გამოავლინეს მასშტაბური ნარკოკრეაქციის

სქემა გამოავლინა. დაკავებულია ნარკოკრეაქტივითა ჯგუფი, რომელთა მიერ დანაშაულებრივი სქემით მიღებულმა თანხამ 2020 წლის განმავლობაში ორ მილიონამდე ლარი შეადგინა, – ამის შესახებ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა.



მისი თქმით, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ფონიჭალის დასახლებაში და გარდაბანში ორგანიზებული ჯგუფის 4 ნარკოკრეაქტივით დააკავეს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან: 1976 წელს დაბადებული ფ.ბ., 1978 წელს დაბადებული დ.ჯ., 1982 წელს დაბადებული შ. ვ. და 1977 წელს დაბადებული ა.მ.

დანაშაული მ-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს შემუშავებული ჰქონდათ ნარკოტიკების რეალიზაციის დანაშაულებრივი სქემა, რომლის საშუალებითაც ისინი ფინანსურ რესურსებს მართავდნენ ინტერნეტ ტოტალიზატორის გამოყენებით. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას კი ე.წ. „დადების“ მეთოდით ასდენდნენ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მიმდინარე წლის მანძილზე, ონლაინ ტოტალიზატორის ანგარიშის გამოყენებით ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა თანხამ ორ მილიონამდე ლარი შეადგინა.

ლევან თოფაძე მართვით სუნთქვაზე იმყოფება

ბიზნესმენ გოგი თოფაძის ინფორმაციით, მისი შვილიშვილი, დაჭრილი ლევან თოფაძე ხენინაშვილის სახელობის კლინიკაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება. „ოპერაცია ჩაუტარდა ოთხივე ადგილზე, სადაც დაჭრილია. ახლა მეუბნებიან, რომ შეიძლება ოპერაცია კიდევ დასჭირდეს, ჯერ არ ვიცი“, – განაცხადა თოფაძემ. „გამოკითხვაზე ვიყავით მეც, ჩემი ცოლიც და ის ოთხი ბავშვი, ვინც იმ დამეს ჩვენთან



სახლში იყო. ჩემი მეუღლეც კინაღამ დაიჭრა. ლევანი დანით არის დაჭრილი. ჩვენ გვეძინა. პირველად ჩემმა მეუღლემ გაიგო წივილი, დაინახა, რომ ურტყამენ თავის შვილიშვილს, ეს აშველებდა, კინაღამ ისიც მოჰყვა ამაში. ის გაქცეული იყო, ზევით რომ ამოვედით, არც მინახავს. პირდაპირ გეტყვით, დილის 05:00 საათზე რომ შემოვივარდებო კაცი, იქ, სადაც შენი ბავშვები არიან, თითქმის მომიკლა შვილი, რა უნდა გავაკეთო, რა, ახლა შემეცოდება, თუ რა?“, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

* * *

სივონ ხაჩინაშვილის სახელობის კლინიკის ექიმის ნიკოლოზ კვაჭაძის ინფორმაციით, ორივე დაჭრილის, ლევან თოფაძისა და ბუსა ჟვანიას მდგომარეობა სტაბილურია და მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ექიმის განმარტებით, ლევან თოფაძე მართვით სუნთქვაზე იმყოფება და არ არის კონტაქტური, რომ გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

შეგახსენებთ, თბილისში ბიზნესმენ გოგი თოფაძის შვილიშვილი დაჭრეს. ლევან თოფაძის დაჭრის ფაქტზე პოლიციამ ბუსა ჟვანია დააკავა.

ინვესტორს ფულს სკალავდნენ

გამომიძიებით დადგინდა, რომ დაკავებული ოთხი პირი ქობულეთში სასტუმროს მშენებლობით დაინტერესებულ ინვესტორს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული № 235 კვმ მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით შექმნასა და შესაბამისი სამშენებლო ნებართვების მიღებაში დახმარებას შეჰპირდა, სანაცვლოდ კი 350 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. ისინი ინვესტორს არწმუნებდნენ, რომ თანხიდან 100 000 აშშ დოლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც მისი გავლენების გამოყენებით, ინვესტორის სასარგებლოდ, შემჭიდროებულ ვადებში წყვეტდა მიწის აუქციონზე გატანის საკითხს და უზრუნველყოფდა შემდგომი პროცედურების სამსახურებრივ მფარველობას. ინვესტორმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს გადასცა მოთხოვნილი თანხის ნაწილი 15 000 ლარი, რა დროსაც მოხდა მათი დაკავება.



გილოცვა

ზუკა დანელიას

ჩვენს იმედს, სიცოცხლით სავსე ვარსკვლავებიჭუნას, გვარის სიხარულს და სიამაყეს, 12 წლის ზუკა დანელიას სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების დღეს.

გაიზარდე ჯანმრთელი, ლამაზი, ჭკვიანი, ქვეყნისთვის სასახელო კაცი. ძალიან გვიყვარხარ!

გფარავდეს უფალი, ჩვენი ლოცვა და სიყვარული...

მამიდავი
ინო და ფოთოლა დანელიავი

ღმრთისკაცისთვის
პაციფიკა



ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის ორგანიზებით თბილისში, ვერის ბაღში მდებარე „ვერე გარდენის“ კაფეში, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და წმინდანად შერაცხილი ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის მიმდებარე, გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემული შესანიშნავი სამაგიდო წიგნის „დიდი იქმთიმი“ განხილვა გაიმართა. შეხვედრანარდგინება განუთვნილი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების ფაკულტეტის მესამეკურსელთათვის.

ამ შესანიშნავი წიგნის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი გახლავთ აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ხოლო რედაქტორი – პროფესორი, ბიზანტიოლოგთა ეროვნული კავშირის დამფუძნებელი ქალბატონი ნათელა ვარნაძე.

განხილვას ესწრებოდნენ ცნობილი ქართველი რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან ლორთქიფანიძე, ჟურნალ „რევიუ პოროსკოპის“ მთავარი რედაქტორი ლერი კვაჭანტირაძე, დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე.

ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ნმ. ექვთიმე ღმრთისკაცის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის წევრმა, ისტორიკოსმა ნანული ნატროშვილმა. მომხსენებლებსა და ამ შესანიშნავი საღამოს ინიციატორებს სტუდენტების სახელით მადლობა გადაუხადა მესამეკურსელმა დათო ყოჩიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციისა და მისი თანათავმჯდომარის ნანა ჭიჭინაძის წვლილი სტუდენტთა საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების პერიოდულად მოწყობის ხელშეწყობისთვის.

საღამოს ინიციატორებმა და მასწრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს კაფე „ვერე გარდენის“ ხელმძღვანელებსა და მომსახურე პერსონალს ყურადღებისა და განუთვნილი გულისხმიერებისთვის.

სტუდენტების თქმით, ეს შინაარსიანი საღამო ერთ-ერთ ლამაზ ფურცლად ჩაინერება მათ ცხოვრებაში.

მარიკა პოპიაშვილი



კონსერტი
ულრან ტყეში

ახალ საკონცერტო სივრცეში „ულრან ტყეში“ ნორჩმა ლაურეატებმა, ახალი თაობის ვირტუოზებმა – ლიზი რაზმაძემ (5 კლასის მოსწავლე) და რეზი მარშანიამ (7 კლასი) კლასიკური მუსიკის კონცერტი გამართეს. მათ დიდი მონდომებით და აღმაფრენით შესრულეს ჰაიდნის და შოპენის ნაწარმოებები, ხოლო ერთად – დვორჟაკის და რახმანინოვის კომპოზიციები დუეტისთვის.

მადლიერმა მსმენელმა ხანგრძლივი ოვაციით და ლამაზი თაღულით დააჯილდოვა ისინი.

თეონა ჯორბენაძე (პროექტის ავტორი, რეჟისორი): თქვენ ნახეთ, ორივე როგორი რანგის არტისტები არიან. მე სახტად დავრჩი, როდესაც მათ პასუხებს ვუსმენდი ტელე და რადიოინტერვიუს დროს. ძალიან დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ მათ პედაგოგ ნატო მაღალაშვილს. პედაგოგს ამ პროფესიაში აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა...

ნატო მაღალაშვილი: გულწრფელი მადლობა თეონა ჯორბენაძეს, ის სასწაულს აკეთებს ამ პანდემიის პირობებში. ეს ბავშვები ექვსი თვეა სახლში იყვნენ ჩაკეტილები და დღეს დიდი ზეიმი მოგვიჩვენეს. თეონა ზრუნავს მათ მომავალზე.

„ბერბანელ“ ელას არს
„პაკელი“ ჩამოუვარდება

ცხოველთა მონიტორინგის სამსახურმა თბილისში დაიჭირა მელა, რომელიც ვაკეში ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს იპარავდა. ამის შესახებ Facebook-ზე ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია წერს. მან სოციალურ ქსელში „დამნაშავეს“ ფოტოც გაავრცელა.

„ეს „არამზადა“ გოგო შეეჩვია და ისეთი ოინები ჩაატარა, კაი ხანი მასპინძელს პარანორმალური მოვლენების ეპიცენტრში აგრძნობინა თავი. ხან ცალი ჩუსტი იკარგებოდა, ხან ბოტასი. კონკრეტული ოჯახის შევიწროებას არ დასჯერდა, მეზობლების რეკეტზეც გადავიდა და გასაშრობად გაფენილი ორი პერანგიც გაიყოლა. საინტერესოა, რაში გამოიყენა?

– ვინ არის დამნაშავე?
პასუხი არ არის.
– სად არის დამნაშავე?
პასუხი არ არის.

უკვე ოჯახის წევრების ნერვული სისტემა, ანალიტიკური და ლოგიკური მსჯელობა ჩიხში რომ შევიდა, ცალ-ცალი ფეხსაცმლით სიარულიც მოდად აქციეს და ერთმანეთს ეჭვის თვალთ დათქვას ყურება, ყალთაბანდიც გაიფაქტა, ეს ოინბაზი კი „დაატუსაღეს“, მაგრამ თანამზრახველიც ჰყოლია და იმასაც მალე მივუსვამთ გვერდით.

P.S. „ისე, სახეზე ხომ ეტყობა რისი მკადრებელიცაა?“ – წერს ლომჯარია.

რამდენიმე დღის წინათ ანალოგიური ფაქტი გერმანიაშიც დაფიქსირდა. ჩვენს გაზეთში ვწერდით, რომ ბერლინში ბინადარმა მელამ ერთ-ერთი უბნის მცხოვრებლებს 100-მდე ფეხსაცმელი მოჰპარა.



საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA

მთავარი რედაქტორი
სვარტაძე ძოგუღია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-25

გამომცემლობა:
შპს „ახალი საუკუნე –
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანამდგომარეობა“-
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„ქოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851



ავტორთა
საჩუქრადღებოდ!
რედაქციის მიერ
შეუკვეთავი მასალები
დაიბეჭდება
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შეხატვლა, მუდამ
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აბეზან
ავტორები.

გაზეთის
მოგაწვნი
ნომერი
გამოვა
ხუთშაბათს,
6 აპრილს



უსტოური ვალუტის ქარსი:
აუუ ფონური - 3.0721; აპრი - 3.6420;
ბრიტანული პირაპნა სტერლინგი - 4.0343;
100 რუბლი - 4.1573; თურქული ლირა - 0.4405;
აპერაპიჯანული მანათი - 1.8071;
1000 სომხური დრამი - 6.3150.

აპრილი 4 აპრილსთვის

აპრილი 4 აპრილსთვის	საქართველო:				
ბარი -	ლარი	+14,	დარი	+29	
მთიანი რეპონი -	ლარი	+10,	დარი	+28	
დასავლეთი საქართველო:					
ბარი -	ლარი	+15,	დარი	+32	
მთიანი რეპონი -	ლარი	+11,	დარი	+30	
თბილისი:	ლარი	+19,	დარი	+28	

დაბიარაქთ, მოგწერაქთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge